

მეცნიერული მემკვიდრეობა

**პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი
(გამოცემის ისტორიისათვის)**

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. ჯერ კიდევ წარმართობის ხანაში ჩამოყალიბებული წერილობითი ტრადიცია თაობიდან თაობას გადაეცემოდა და საუკუნეების მანძილზე ეპიგრაფიკული ძეგლებისა თუ ხელნაწერების სახით იქმნებოდა ქართველთა ცხოვრების მატრიანე. მიუხედავად ამისა, ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორია უფრო მოგვიანებით - XVII საუკუნიდან იღებს სათავეს, ისიც უცხოეთში. ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლინგვისტიკაში ერთ-ერთი საინტერესო კვლევის ობიექტია. რამდენადაც ჩვენი ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენასთან დაკავშირებით ქართულ საისტორიო წყაროებში მწირი ცნობები მოგვეპოვება, ჭეშმარიტების დასადგენად მეტად ფასეულია უცხოური საარქივო მასალები, რომელთა მეოხებითაც ბევრ სადავო საკითხსა თუ აქამდე უცნობ ფაქტს თანდათან ეფინება ნათელი. ამ ასპექტით განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა 1977 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობით განხორციელებული სამეცნიერო მივლინება იტალიაში, ვატიკანისა და "პროპაგანდა ფიდეს" არქივებსა თუ ბიბლიოთეკებში მუშაობა.

არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით შეიძლება ვიმსჯელოთ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების გამოცემის წინაპირობებსა და ამ იდეის განხორციელების ძირითად მომენტებზე.

ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთმანეთს ცვლიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობისა თუ დაქვეითების პერიოდები. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე იყო XVI-XVII საუკუნეები, როცა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დანაწევრებული საქართველო მოექცა მუსულმანურ სახელმწიფოთა გარემოცვაში და გახშირდა თავდასხმები სპარსეთ-ოსმალეთის მხრიდან. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, "საქართველო XVI საუკუნეში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კულტურული ურთიერთობის ასპარეზი კი აღარ არის, როგორც ეს ძველად იყო, არამედ ორ მოძალადეს შორის მოქცეული და დასავლეთ ევროპის კულტურული მსოფლიოსაგან თითქმის სავსებით მოწყვეტილი ქვეყანა" (ნ. ბერძენიშვილი, 1973, გვ. 147).

საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც 1614-1617 წლებში კახეთის აოხრება, ასიათასობით ქართველის გასახლება შუაგულ სპარსეთში (ფერეიდანში), შემდეგ - მარტყოფი, მარაბდა და თვალწინ წარმოგვიდგება საქართველოს ძნელბედობის ეამი, შაჰ-აბასის დამპყრობლური პოლიტიკის სისასტიკე. ასეთ პირობებში ბუნებრივად დაქვეითდა ქვეყნის კულტურა. კლასიკურ ეპოქაში აღორძინებული სიტყვაკაზმული მწერლობა საგრძობლად შეფერხდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ქართველი კაცი არასოდეს არ ივიწყებდა სულიერებას, ყველგან და ყოველთვის იღვწოდა ერის კულტურული საგანძურის გადარჩენა-გამდიდრებისათვის. საქართველოს ისტორიის ამ შავბნელ ეპოქაში ერთ-ერთ ნათელ სხივად შეიძლება ჩაითვალოს უცხოეთში ქართული წიგნების შექმნა და დაბეჭდვა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ ქართველ მოღვაწეს, უადრესად განათლებულ პიროვნებას ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს - ბერობაში "ნიკიფორე ირბახად"

წოდებულს (ქართულ ისტორიოგრაფიაში ნიკიფორე ირბახის ვინაობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ამჯერად ჩვენ ვემყარებით ტრადიციულ ცნობას და ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ მის დამსახურებაზე პირველი ქართული წიგნების შექმნის ასპექტით).

ნიკიფორე ირბახი, ქვეყნის პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მეფე თეიმურაზ I-მა 1626 წელს დიპლომატიური მისიით წარგზავნა ესპანეთსა და იტალიაში. იმხანად (XVII საუკუნის დასაწყისში) რომის კათოლიკურმა ეკლესიამ გააფართოვა სამისიონერო მოღვაწეობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. შესაბამისად, შეიქმნა სამისიონერო ცენტრალური ორგანო - "კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოება" - ჩონგრეგაზიონე დე როპაგანდა ფიდე (კონგრეგაცია "პროპაგანდა ფიდე", შეიქმნა 1722 წ.), რომლის სამუშაო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნით მისიონერებს აუცილებლად უნდა ესწავლათ იმ ქვეყნის ენა, სადაც მოუხდებოდათ მოღვაწეობა. ამიტომაც "პროპაგანდა ფიდემ" მისიონერთათვის საჭირო ლიტერატურის დასაბეჭდად 1626 წლის ზაფხულს დააარსა საკუთარი სტამბა რომის ცენტრალურ უბანში, სტამბის ოფიციალური მმართველის აქილე ვენერიოს (ან: აკილე ვენეროს) საკუთარ ბინაში.

სტამბის ტექნიკური გამართვა დაევალა იმ დროს იტალიაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მესტამბეს სტეფანო პაოლინის - "ბრწყინვალე მბეჭდავს" (როგორც მოხსენიებულია საარქივო მასალებში). მასთან ერთად მუშაობდა ვატიკანის სტამბიდან გადმოსული ორი სხვა თანამშრომელი: იტალიელი ჯამბატისტა სოტილე და გერმანელი მესტამბე (მისი გვარი არ არის ცნობილი).

გამოცდილმა ოსტატებმა მოკლე დროში შექმნეს 2 ათეულზე მეტი ნაირსახეობის მრავალენოვანი სასრიფტო მეურნეობა, რომლის წყალობით, "პოლიგლოტას" სახელწოდებით ცნობილმა სტამბამ მალე გაითქვა სახელი.

სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა ნიკიფორე ჩოლოყაშილის მოგზაურობა ევროპაში. იგი 1626 წლის ზაფხულში თანმხლები სამი ქართველით ჩავიდა მესინაში, სადაც შეხვდა საქართველოში მიმავალ მისიონერებს - პიეტრო ავიტაბილესა და მის ორ ამხანაგს; მათი მეშვეობით აქვე გაეცნო თეატინელთა ორდენის სხვა წარმომადგენლებსაც, რომელთა უშუალო რეკომენდაციებით განხორციელდა ქართველთა ელჩობა ესპანეთსა და იტალიაში.

ცხადია, იმხანად რომში ქართული წიგნების შექმნა-დაბეჭდვას განაპირობებდა ორმხრივი ინტერესი: იტალიელთა ძირითადი მიზანი იყო, მისიონერებისათვის მიეწოდებინათ აუცილებელი მასალები ქართული ენის გაცნობა-დასაუფლებლად, ნიკიფორე ირბახისა და მისი თანამგზავრების გულმოდგინე საქმიანობით კი აღსრულდებოდა ქართველთა სანუკვარი ოცნება - ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიაში ჩაიწერებოდა პირველი ფურცლები.

როგორც საარქივო მასალებით ირკვევა, ამ საქმეს ორივე მხარე ინტერესითა და მონდომებით შესდგომია.

1629 წელს „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნია „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“: იწყება ანბანის ჩამოთვლით, შემდეგ მოსდევს ლოცვები: „მამაო ჩვენო“, „გიხაროდენი“, „მრწამსი“, „ათი მცნება“.

აღსანიშნავია, რომ ქართულ სინამდვილეში - ისტორიოგრაფიაში ეს წიგნი არ განიხილებოდა დამოუკიდებელ ნაშრომად, ამიტომ ტრადიციულად პირველი ნაბეჭდი წიგნად სახელდებოდა „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. ჩვენში ამგვარი კვალიფიკაციის ძირითად საფუძვლად, ალბათ, მიაჩნიათ შემდეგი: 1)

წიგნის მცირე მოცულობა, 2) რელიგიური ხასიათი, 3) საგანგებო დანიშნულების უქონლობა (მღრ. ლექსიკონი, გრამატიკა).

მეორე ქართული ნაბეჭდი წიგნი არის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. მისი სრული სახელწოდებაა „ლექსიკონი ქართული და იტალიური, შედგენილი სტეფანო პაოლინის მიერ, ქართველ ნიკიფორე ირბახის წმ. ბასილის (წესის) ბერის დახმარებით - სახმარად სარწმუნოების გამავრცელებელი, სასულიერო საზოგადოების მისიონერთა“ (1629 წ.).

ლექსიკონი შეიცავს 3084 სიტყვას. ტექსტი სამ სვეტად მიდის: I - ქართული, II - ლათინური ტრანსლიტერაცია, III - იტალიური შესატყვისი.

მართალია, ლექსიკონის ქართულ დაწერილობაში დაშვებულია შეცდომებიც, რაც ძირითადად გამოწვეული ჩანს უშუალოდ წიგნის ბეჭდვის დროს ნიკიფორე ირბახის რომში არყოფნით და, აგრეთვე, ქართულ ენაში პაოლინის ნაკლები გაწაფულობით (ბუნებრივია, მოკლე დროში იგი ისე კარგად ვერ ისწავლიდა ქართულს, რომ ადვილად გარკვეულიყო ჩვენი მეტყველების თავისებურ ბგერებში), მაგრამ წიგნს აქვს უდიდესი ისტორიული ღირებულება - ესაა პირველი ქართული ნაბეჭდი ლექსიკონი.

ღირსსაყვანილობა ისიც, რომ 1629 წელს „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში დაბეჭდილა მესამე ქართული წიგნიც. ესაა (ერთ ფურცელზე დასტამბული) ლოცვა ღვთისმშობლისადმი - „ლიტანია ლაურეტანა“, რომელიც ლათინურიდან ქართულად უთარგმნია ნიკიფორე ჩოლოყაშვილს (ამ ტექსტის ერთადერთ ეგზემპლარს მიაკვლია ჯ. ვათეიშვილმა 1977 წელს ვატიკანის „ბიბლიოთეკა აპოსტოლიკაში“).

1629 წელს იტალიაში ქართული წიგნების გამოცემას აგრესიულად განწყობილ მუსულმანურ სამყაროში მოქცეული საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. „ეს იყო პირველი შედეგიანი ცდა მტრული გარემოცვის გარღვევისა და კულტურულ სფეროში დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან აქტიური კავშირ-ურთიერთობის აღდგენისა (ჯ. ვათეიშვილი, 1983, გვ. 26).

იჩვენება, რომ „პროპაგანდა ფიდეს“ თანამშრომლები თავიდანვე გულსხმიერებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ნაბეჭდი ქართული წიგნების ხარისხს, შინაარსობრივ თუ ტექნიკურ მხარეებს. მაგალითად, საქართველოში მიმავალი მისიონერებისათვის 1630 წელს კონგრეგაციას შეუდგენია საგანგებო ინსტრუქცია, რომლის მიხედვით მისიონერებს ევალებოდათ:

1) გვაცნობონ, კარგი გამოვიდა თუ არა ქართული შრიფტი და სხვა დაბეჭდილი ტექსტები (რომლებიც თან მიაქვთ). თუ მათში შეცდომებია გაპარული, ჩაასწორონ და სათანადო კორექტურით უკან გამოგვიგზავნონ და, თუ რაიმე გამოტოვებულია, თავაზიანად მიგვითითონ;

2) გვაცნობონ იმ სასულიერო და საერო წიგნების შესახებ, რაც მოიპოვება იმ მხარეებში, აგრეთვე, მათ ავტორებსა და შინაარსზე, განსაკუთრებით ბიბლიისა და სასულიერო წიგნებზე, რომ მათი გადაღებული ასლები გაეგზავნოს წმ. კონგრეგაციას;

3) საჭიროა ისწავლონ წერა-კითხვა ამ სამეფოში გავრცელებულ ენაზე... შეიტყონ, აგრეთვე, აქვს თუ არა ამ ხალხს ლექსიკონები და გრამატიკები იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობენ და, თუ საშუალება ექნებათ, გამოგვიგზავნონ...

იმთავითვე რომის ეკლესიის დაინტერესება ქართული წიგნების ბეჭდვითა და გავრცელებით თავისთავად, მეცნიერული თვალსაზრისით, მეტად ფასეული

აღმოჩნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის.

ცოტა ხნის შემდეგ კონგრეგაციაში დარწმუნდნენ, რომ სასაუბრო ქართულის დასაუფლებლად, მისი გრამატიკული სისტემის შესასწავლად მისიონერებისათვის საჭირო იყო სპეციალური სახელმძღვანელო გრამატიკისა, რაც მაშინ თვით საქართველოშიც არ არსებობდა. ამიტომ რომის პაპის მითითებით „პროპაგანდა ფიდემ“ საქართველოში გაგზავნა პალერმოელი მღვდელი ფრანჩესკო მარია მაჯო. მან პაპისაგან მიიღო საგანგებო დავალება: საფუძვლიანად შეესწავლა ქართული ენა და დაეწერა ამ ენის გრამატიკა, რომ შემდგომში ამ სახელმძღვანელოთი მოემზადებინათ მისიონერები რომშივე.

20 წლის მაჯო საქართველოში ჩამოსულა 1637 წელს. პირველად დამკვიდრებულა გორში, ცოტა ხნის შემდეგ იგი ავიტაბილეს თან წაუყვანია სამეგრელოში, აქედან კი გადასულან გურიაში. მაჯო თავისუფლად მოგზაურობდა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებშიც, აფხაზეთში. ცხადია, ყოველივე ეს დაეხმარებოდა ახალგაზრდა მისიონერს უკეთ დაუფლებოდა სასაუბრო ქართულს და დაჰკვირვებოდა მის გრამატიკულ სისტემას.

გარდა ამისა, მაჯოს მუშაობას უთუოდ გაუადვილებდა გურიაში ჯერ კიდევ 1634 წლიდან დაწყებული მისიონის საგანმანათლებლო საქმიანობის ტრადიცია, რომელსაც სათავე დაუდო ანტონიო ჯარდინამ (მისიონის აქტიურმა წევრმა). არქანჯელო ლამბერტის ცნობებზე დაყრდნობით, მიხ. თამარაშვილი ანტონიო ჯარდინას ასე ახასიათებდა: პატრი ანტონ ჯარდინამ კარგად იცოდა ქართული ენა; როგორც თავის დედაენას, ქართულს ისე ლაპარაკობდა. მან შეადგინა ქართული გრამატიკა და მის მიერვე დაარსებულ სკოლაში დააწყებინა ყმაწვილებს მისი შესწავლა.

ცნობილია, რომ ჯარდინა გარდაიცვალა 1637 წელს, მაჯოს გურიაში ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე, მაგრამ უდავოა, რომ მაჯო გურიაში გააგრძელებდა ჯარდინას საქმიანობას, გაეცნობოდა მის ხელნაწერ გრამატიკასაც. ამის თქმის საფუძველს იძლევა თვით მაჯოს ჩანაწერი („გრამატიკის“ პირველ ნაწილში), სადაც მითითებულია ჯარდინას დამსახურებაზე იბერიული (ქართული) ენის შესწავლის ასპექტით: „ჯ. სტეფანიუსმა და ანტონიო ჯარდინამ, როგორც ყველაზე მეტად დახელოვნებულებმა, შეამკეს თავიანთი ნაწერებით იბერიული ენა“. თუმცა ისტორიულ წყაროებში არ ჩანს, გამოიყენა თუ არა მაჯომ ჯარდინას ეს გრამატიკა და თვით მაჯოც არ ასახელებს, რა ნაწერები ეკუთვნოდა ჯარდინას.

1641 წლისათვის მაჯოს ქართული ენის გრამატიკა დაუსრულებია. იმავე წლის 10 ივნისს „პროპაგანდა ფიდეს“ სხდომაზე კიდევ განუხილავთ საკითხი ამ თხზულების დაბეჭდვის შესახებ. კონგრეგაციას მიუღია საგულისხმო დადგენილება: ნაწრომის ხელნაწერი უნდა შეემოწმებინა ქართული ენის მკოდნეს (თუკი ასეთი რომში მოიძებნებოდა) და, თუ იგი დაადასტურებდა, რომ გრამატიკა სწორადაა შედგენილი, მხოლოდ შემდეგ გადაეცემოდა სტამბას დასაბეჭდად.

როგორც ჩანს, მაჯოს ნაწრომს აპრობაციის შედეგად დადებითი შეფასება მიუღია და იგი კიდევ დაიბეჭდა 1643 წელს (მეორედ გამოიცა 1670 წ.) სახელწოდებით: „ნაწრომი აღმოსავლურ ენათა შესახებ... წიგნი პირველი (ქართული გრამატიკა). რომელიც შეიცავს ქართული ანუ იბერიული სასაუბრო ენის გრამატიკულ წესებს - შედგენილი ფრანჩესკო მარია მაჯოს მიერ... რომში სარწმუნოების გამავრცელებელი წმ. კონგრეგაციის სტამბიდან (II გამოცემა),

1670, უზენაესის ნებართვით.

მაჯოს „ქართული ენის გრამატიკა“ მეოთხე ნაბეჭდი წიგნია (დაწერილი ლათინურ ენაზე), გამოცემული იტალიაში XVII საუკუნის I ნახევარში.

აქვე შევნიშნავთ, რომ მაჯოს წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი „ქართული გრამატიკა“, მეორე შეიცავს არაბული და თურქული ენების შესახებ გამოკვლევასა და ქართულთან მათს დამოკიდებულებაზე ცალკეულ ავტორისეულ დაკვირვებებს.

აღიარებულია, რომ მაჯოს გრამატიკა ენათმეცნიერული თვალსაზრისით და, საერთოდ, ქართული კულტურისათვის უფრო დიდი მნიშვნელობის აღმოჩნდა, ვიდრე მას ევალებოდა სასულიერო ინტერესებიდან გამომდინარე. ეს გრამატიკა არის ქართული ენის თავისებურებათა შედარებითი შესწავლის პირველი ცდა. მაჯოს მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდი შეესაბამებოდა ლინგვისტური მეცნიერების კვლევის მაშინდელ დონეს.

არნ. ჩიქობავას შეფასებით, მაჯოს შრომა პირველი გრამატიკაა ქართული ენისა. იგი იმავე დროს „წარმოადგენს პირველ გრამატიკას იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში. ამდენად, მაჯოს ამ შრომას - მიუხედავად ყველა მისი ნაკლისა - განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, სანამ მარი ბროსეს ქართული გრამატიკა გამოვიდოდა (1934 წ.) - ე. ი. თითქმის 200 წლის მანძილზე - ევროპის სწავლულები მაჯოს შრომის საშუალებით ეცნობოდნენ ქართულ ენას“ (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 53).

ამგვარად, ზემოაღნიშნული ქართული წიგნების გამოცემას, პირველ ყოვლისა, განსაზღვრავდა რომის კათოლიკური ეკლესიის ინტერესი, რაც თავისთავად კიდევ უფრო შედეგიანი აღმოჩნდა ქართული კულტურისათვის. ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტის შესახებ შედარებით ვრცელი ინფორმაცია ჩვენში გავრცელდა XX საუკუნის დამდეგიდან მიხ. თამარაშვილის მიერ უცხოეთში მოძიებული ცნობების წყალობით. შესაბამისად, ქართულ ისტორიოგრაფიაში დაიწყო საგანგებო მსჯელობა პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნების გამოცემასთან დაკავშირებით, გამოითქვა მსგავსი თუ განსხვავებული მოსაზრებანი. მასალების სიმცირის გამო ზოგი საკითხი კვლავ მოითხოვდა დაზუსტებას, კერძოდ, სადაოდ რჩებოდა: 1) რომში ქართული სტამბის დაარსება, 2) ნიკიფორე ირბანის ვინაობა, 3) ნიკიფორეს როლი (წვლილი) ქართული წიგნების შექმნა-დაბეჭდვაში, 4) ლექსიკონში დაშვებული შეცდომების მიზეზები და ა.შ.


XX საუკუნის 70-იანი წლებიდან უცხოური საარქივო მასალების გამოწვლილვითი ანალიზით (ვატიკანისა და „პროპაგანდა ფიდეს“ ბიბლიოთეკებში მუშაობით) ბევრ საკითხს მოეფინა ნათელი. მაგალითად, ქართულ ტრადიციაში დამკვიდრებული იყო ვერსია 1629 წელს რომში დამოუკიდებელი ქართული სტამბის შექმნის შესახებ, მოგვიანებით შესწავლილი ახალი მასალების საფუძველზე ჯ. ვათეიშვილი კი მიუთითებდა: XVII საუკუნეში რომში დამოუკიდებელი ქართული სტამბა არ შექმნილა, ნიკიფორეს დახმარებით „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში დაუმზადებიათ მხედრული, ნუსხური და ასომთავრული ასოების პუნსონები და მატრიცები. შემდეგ კი ჩამოუსხამთ შესანიშნავი ფილიგრანული ხელოვნებით შესრულებული შრიფტი, რომელიც უნდა იყოს გერმანელი მესტამბის ნახელავი. აქვე გაიკვია, რომ „ფიდეს“ სტამბაში ნიკიფორემდეც სცოდნიათ საქართველოში სასულიერო და საერო მწერლობისათვის გამოყენებული ნუსხური და მხედრული ანბანის შესახებაც.

გარდა ამისა, ლექსიკონში დადასტურებული ბერძნიზმების გამო (რასაც ემატებოდა ქართულ დაწერილობაში არსებული შეცდომები თუ სხვა მიზეზებიც) ზოგი მკვლევარი მართებულად მიიჩნევდა ნიკიფორე ირბახის არაქართულ წარმომავლობას. მაგრამ თანამედროვე კვლევის დონეზე უკვე საეჭვოდ აღარ ითვლება, რომ ნიკიფორე - იგივე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ქართველი იყო, უადრესად განსწავლული პიროვნება, ერისკაცი.

რაც შეეხება ნიკიფორე ირბახის მონაწილეობას ლექსიკონის შექმნაში და, აგრეთვე, წიგნის ქართულ ნაწილში დაშვებულ შეცდომებს („დამახინჯებებს“), ამასთან დაკავშირებით საგულისხმო მოსაზრებაა გამოთქმული ალ. ფოცხიშვილის სტატიებში („ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ საიდუმლო“...), ავტორის მსჯელობა ემყარება ლექსიკონის წმინდა ლინგვისტურ ანალიზს, განსაკუთრებით ლათინურ ტრანსლიტერაციაზე დაკვირვებას (აქვე გათვალისწინებულია წინამორბედ სპეციალისტთა ნაშრომებიც). მისი აზრით, ლექსიკონის ერთ-ერთ ავტორად ნიკიფორეს მიჩნევა ბუნებრივია, ხოლო ლექსიკონში დაშვებული შეცდომებისათვის პასუხისმგებლობა მას არ უნდა დაეკისროს, რადგან ლექსიკონის ქართული ნაწილის ხელნაწერი ნიკიფორეს საერთოდ არ უნაზავს. ნიკიფორესა და პაოლინის მუშაობის მეთოდი ასეთი იყო: პაოლინი ამოიკითხავდა წინასწარ შერჩეულ ბერძნულ სიტყვას (რაც აუცილებელი იყო მისიონერთათვის) ადრე მათ მიერვე შედგენილი ბერძნული ლექსიკონიდან („ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ შედგენისას რომ გამოყენებულია ბერძნული ლექსიკონი, ამ ვარაუდს გამოთქვამდნენ არნ. ჩიქობავა და ჯ. ვათეიშვილიც - ვ.ფ.), რომლის ქართულ თარგმანს ნიკიფორე იქვე იძლეოდა ზეპირად, პაოლინი (ან იქნებ სხვა ვინმე) იტალიური ასოებით იწერდა და იმავდროულად მიუწერდა ამ სიტყვის იტალიურ თარგმანს და საქმე ამით მთავრდებოდა. ე.ი. დედანში, რომელიც ნიკიფორეს თანდასწრებით შედგა, ქართული ასოებით ჩაწერილი ქართული სიტყვები საერთოდ არ ყოფილა. ასეთი სამუშაო შესრულდა ნიკიფორეს იქ არყოფნაში და იგი შეასრულა იტალიელმა (ვინ? - მნიშვნელობა არა აქვს), რომელსაც ყური ოდნავადაც არ ჰქონდა მიჩვეული ქართული ბგერების უღერისათვის“ (ალ. ფოცხიშვილი, 1988, 2000, გვ. 197-198).

მაშასადამე, ამ მსჯელობის მიხედვით, უცნაურობად არ უნდა მოგვეჩვენოს ლექსიკონის ქართულ ნაწილში დაშვებული „დამახინჯებანი“, ბერძნული სიტყვების არსებობა და ა.შ. ნიკიფორეს გარეშე უცხოელ მესტამბეებს არ შეეძლოთ ზუსტად გარკვეულიყვნენ ქართული ასო-ნიშნების ფონოლოგიურ სისტემაში და ზუსტად მოეძებნათ მათი შესატყვისები...

დასასრულ, მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ XVII საუკუნის პირველ ნახევარში რომში გამოცემულმა წიგნებმა სათავე დაუდეს ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიას, სასიკეთო ბიძგი მისცეს საქართველოში მწიგნობრობის შემდგომ განვითარებას, საკუთარი სასტამბო მეურნეობის შექმნას და ხელი შეუწყვეს ჩვენი კულტურის პოპულარიზაციას მთელს ევროპაში.



- ქართული სტამბის შენობა რომში

**ALPHABETVM
IBERICVM.
Sive
GEORGIANVM
Vulgare.**

Haec litterae Trigintaes.

<i>Latina.</i>	<i>Græca.</i>	<i>Georgica.</i>	<i>Latina.</i>
a	α	An	a.
b	β	Ban	b.
g	γ	Ghan	g.
d	δ	Dan	d.
e	ε	En	e.
v	ϑ	Vin	v.
z	ζ	Zen	z.
h	η	Han	h.
l	λ	Lhan	l.
t	τ	Thon	t.
i	ι	In	i.
A 2 3			



სიკიფორე ირბახი (ჩოლოყაშვილი)

სიკიფორე ირბახი (ჩოლოყაშვილი)

ლიტერატურა

ნ. ბერძენიშვილი, 1973 - ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973.

ბ. გიორგაძე, 1976 - ბ. გიორგაძე, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1976.

მ. თამარაშვილი, 1902 - მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.

ა. იოსელიანი, 1990 - ა. იოსელიანი, ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, თბ., 1990.

თ. უთურგაიძე, 1999 - თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999.

ალ. ფოცხიშვილი, 1988 - ალ. ფოცხიშვილი, „რა მოხდა?“, გაზ. „წიგნის სამყარო“, 1988, 11/V, №9/477.

ალ. ფოცხიშვილი, 2000 - ალ. ფოცხიშვილი, ქართული ენა, თბ., 2000.

ალ. ღლონტი, 1983 - ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 1983.

არნ. ჩიქობავა, 1965 - არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.

არნ. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, 1983 - არნ. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983.

ZHUZHUNA PEIKRISHVILI.

THE FIRST GEORGIAN PRINTED BOOK
(ON THE HISTORY OF PUBLICATION)

The publication of the first Georgian book in Rome can be regarded as one of the rarest highlights in the 16th-17th c.c. Georgia, the period being considered as one of the darkest epochs in the country's history. "Propagande Fide" printing house a religious Congregation printed three Georgian books in 1629. These books were: "the Georgian Alphabet with Prayers", "Georgian-Italian Dictionary", "Prayers to the Holy Mother", and the Georgian Grammar in 1643.

The publication of the Georgian books by the Roman Church had been determined by the need of providing (catholic missions working in Georgia with necessary literature. The pre-conditions and methods of this outstanding event remain an interesting issue to explore.